20.11.2017

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2017 წლის III კვარტალი
(წინასწარი მონაცემები)

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის III კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 952.5 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8.6 პროცენტით ნაკლებია. აქედან ფურის სულადობამ 473.4 ათასი სული შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.7 პროცენტით გაიზარდა და 1 057.4 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 233.8 ათასი სული იყო, რაც 19.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. 2017 წლის III კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 9 528.0 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 6.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2014-2017 წლების III კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2014-2017 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2014-2017 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2014-2017 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2014-2017 წლების III კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის III კვარტალში რძის წარმოებამ 142.0 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 12.1 პროცენტით ნაკლებია. ხორცის წარმოებამ 12.0 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2016 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 17.8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო კვერცხის წარმოებამ 135.3 მილიონი ცალი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.6 პროცენტით ნაკლები შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2017 წლების III კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2014-2017 წლების III კვარტალში
(მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2014-2017 წლების III კვარტალში
(დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2014-2017 წლების III კვარტალში
(მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2016-2017 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2016-2017 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2016				**2017***		
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 109.8	1 113.5	1 042.6	962.7	1 035.7	1 018.9	952.5
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	545.0	546.9	529.9	509.3	503.3	492.3	473.4
ღორი	172.1	176.2	196.5	136.2	160.8	194.6	233.8
ცხვარი და თხა	1 232.2	1 173.1	1 049.6	936.5	1 272.4	1 231.9	1 057.4
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 413.3	11 761.1	10 205.1	8 237.8	8 175.6	11 718.2	9 528.0

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2016-2017 წლებში

	2016				2017*		
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	14.1	16.7	14.6	20.6	13.7	14.4	12.0
რძე (მლნ. ლიტრი)	97.3	199.0	161.6	82.2	99.7	183.6	142.0
კვერცხი (მლნ. ცალი)	151.1	158.0	144.8	136.5	146.7	151.4	135.3

* წინასწარი მონაცემები.

2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 2016 წლიდან გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. შერჩევის ბაზის ცვლილების გამო, 2016 წლის მონაცემები შესადარი არ იყო წინა წლების მონაცემებთან. შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, საქსტატმა განახორციელა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. გადაანგარიშება განხორციელდა საქსტატის სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად.

2017 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის 15 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (500)
E-mail: vtsakadze@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge